საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 29 ივლისი, 2020 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/37

„სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლისთვის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტისა და მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 იანვრის № 04-01/20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, უნივერისიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და მუსიკის ფაკულტეტის დეკანის თ. ცერიაშვილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლისთვის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტისა და მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 იანვრის № 04-01/20 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №2) II თავის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**